პროლეტარებო ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

1972 წ.
№ 66 (4576)
4 აპრილი, სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სსრ კავშირის ჩემპიონატი

დღეს სტარტია!

მოლოდინი... ნ. ფირცხალავას ფოტო.

ცსკა და დანარჩენები

კაუნასი, 3 აპრილი. სსრ კავშირის ჩემპიონი და წლევანდელი გათამაშების ლიდერი — ცსკა დამაჯერებლად მიიწევს ფინიშისკენ. გუშინ და გუშინწინ მან იოლად მოუგო „ჟალგირისს“ (87:64) და კიეველ თანაკლუბელებს (86:62).

2 ქულა ჩაიწერა სატურნირო ცხრილში ლენინგრადის „სპარტაკმაც“. გუშინწინ ნევისპირელებმა გაუჭირვებლად დაამარცხეს თბილისის „ბურევესტნიკი“ — 90:66. აი, გუშინ კი მათ დიდი ჯაფა დაადგათ „სტატისტასთან“ ორთაბრძოლაში. „სპარტაკმა“ გაიმარჯვა (77:71), მაგრამ ვაი ამ გამარჯვებას. მატჩის ბედი, სულ ცოტა, სამჯერ მაინც ცვიდა ბეწვზე. ბედნიერ ფინიშს ლენინგრადელები მეტოქის გამოუცდელობას უნდა უმადლოდნენ.

თბილისის „დინამომ“ ბრწყინვალედ ითამაშა მასპინძლების წინააღმდეგ — 16 ქულით სძლია „ჟალგირისს“ — 77:61. საფიქრებელი იყო, რომ იგი ასეთივე მონდომებით ჩაატარებდა მომდევნო მატჩს „კალევთან“. მაგრამ „კალევი“ თბილისელებისთვის მუდამ იყო და რჩება ყველაზე უხერხულ მეტოქედ. ესტონელებმა ეს პრინციპული ბრძოლა ძოიგეს ანგარიშით 90:69

ლენინგრადის „სპარტაკთან“ წაგების შემდეგ თბილისის „ბურევესტნიკმა“ პირდაპირ ბეჭებზე დასცა „სტროიტელი“ — 73:71.

ბოლო ორი ტურის დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „სტროიტელი“ (კიევი) — „სტატიბა“ (ვილნიუსი) 73:68, „დინამო“ (მოსკოვი) — „კალევი“ (ტარტუ) 64:60, ასკ (კიევი) — „დინამო“ (მოსკოვი) 70:64.

დამთავრდა ჩემპიონატის მეხამე წრის ნახევარტაპი. ახლა გუნდები გადაინაცვლებენ ვილნიუსში და ურთდღიანი შესვენების შემდეგ დასკვნითს ბრძოლას გააჩაღებენ.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 აპრილისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	22	21	1	1876—1508	21
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	22	20	2	1564—1380	20
„სტროიტელი“ (კიევი)	22	11	11	1569—1533	11
„დინამო“ (თბილისი)	22	11	11	1673—1719	11
ასკ (კიევი)	22	10	12	1478—1604	10
„კალევი“ (ტარტუ)	22	10	12	1598—1618	10
„ჟალგირისი“ (კაუნასი)	22	9	13	1617—1638	9
„დინამო“ (მოსკოვი)	22	8	14	1578—1613	8
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	22	6	16	1482—1607	6
„სტატიბა“ (ვილნიუსი)	22	4	18	1522—1747	4

თბილისელები წინ მიიწევენ

სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის სპორტკომბინატის საცურაო აუზი. 2 აპრილი.

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (ალმა-ათა) 6:5 (1:1, 2:2, 1:1, 2:1).

თბილისი: გულედანი, კურტანიძე, სანაძე, ერაძე, არუთინოვი, იოსელიანი, უშანგიშვილი.

ალმა-ათა: პოგორელოვი, უიტნიკოვი, შუროვი, პრიხოდკო, პივოვაროვი, პიკული, ბარანოვი.

მსაჯი ვ. ვეშელინი (მუკაჩოვო).

თბილისისა და ალმა-ათის დინამოელთა მატჩი დაიწყო თუ არა, ბურთი იოსელიანმა მიიღო და იგი მეტოქის კარში გაგზავნა. ალმაათელებმა ანგარიში მაშინვე გაათანაბრეს: მსაჯმა აუზიდან გააძევა კურტანიძე და თბილისელთა მეტოქეებმა კარგად გამოიყენეს რიცხობრივი უპირატესობა.

მასპინძლებმა საუცხოოდ ითამაშეს მეოთხე პერიოდში. ჯერ იყო და ერაძემ დააწინაურა თავისი გუნდი (5:4), შემდეგ კი ისელიძემ ზუსტად ტყორცნა 4-მეტრიანი საჯარიმო — 6:4. მატჩის დასასრულს პივოვაროვმა შეძლო ერთი ბურთის გაქვითვა.

* * *

ჩემპიონატის სტარტზე მარცხის შემდეგ კიევის დინამოელებმა ზედიზედ ორი მატჩი მოიგეს: ჯერ ალმაათელი თანაკლუბელები დაამარცხეს (6:5), გუშინწინ კი ლენინგრადის „ბალტიკას“ სძლიეს — 5:4.

ზ. ჯანდიერი.

* * *

სურათზე: თბილისის „დინამოს“ მეკარე მ. გულედანი ბურთს იგერიებს.

ა. კოტორაშვილის ფოტო.



ფიდე-ს ულტიმატუმი

ჰააგა, 2 აპრილი. ფიდე-მ ულტიმატუმი წარუდგინა აშშ-ს საჭადრაკო ასოციაციას. ფიდე მოითხოვს სსრ კავშირის, აშშ-ს, იუგოსლავიისა და ისლანდიის ჭადრაკის ფედერაციათა 20 მარტის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესრულებას მსოფლიო ჩემპიონის ბ. სპასკისა (სსრ კავშირი) და ამ წოდების პრეტენდენტის, დიდოსტატ რ. ფიშერის (აშშ) მატჩის ჩატარების ადგილისა და წესის შესახებ.

თუ აშშ-ს საჭადრაკო ასოციაცია 4 აპრილამდე არ წარმოადგენს რ. ფიშერის მიერ ფიდე-ს გადაწყვეტილების შესრულების სრულ გარანტიას, ან თუ რ. ფიშერი არ დაეთანხმება ასეთ გარანტიას, ფიდე-ს პრეზიდენტი ბ. ლივე ამას მატჩში მონაწილეობაზე ამერიკელი მოჭადრაკის უარად მიიჩნევს. მაშინ, ფიდე-ს წესდების შესაბამისად, რ. ფიშერი, როგორც ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტი, კარგავს ბ. სპასკის წინააღმდეგ თამაშის უფლებას.

როგორც ცნობილია, ფიდე-ს 20 მარტის სხდომაზე, რომელშიც სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციისა და აშშ-ს ასოციაციის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, გადაწყდა, რომ პრეტენდენტისა და ჩემპიონის მატჩი გაიმართება ბელგრადსა (იუგოსლავია) და რეიკიავიკში (ისლანდია) 26 მარტს კი რ. ფიშერმა წამოაყენა ჟულადი პრიზის გადიდების უაზრო მოთხოვნა და უარი თქვა ითამაშოს ამ ქალაქებში. (საკვესი).

მეორე გუნდის I ადგილი

მურმანსკი, 2 აპრილი. ამ ქალაქის შემოგარენში საინტერესო ბრძოლით აღინიშნა საკავშირო ჩემპიონატი პატრულების რბოლაში. ოქრო მოიხვეჭა „დინამოს“ მეორე გუნდმა, რომელშიც სამი ქალაქის მოთხილამურეები შედიოდნენ: ბარნაულელი ი. გალკინი, ლენინგრადელი ვ. ივანოვი, მოსკოველები ნ. გუნდარცევი, ვ. შტრაკინი და ვ. ბერეზინი. გამარჯვებულთა დროა 1:38.12.

მფრინავი აკრობატები

ლვოვი, 2 აპრილი. ბატუტზე წყვილთა სინქრონულ ხტომაში სსრ კავშირის ჩემპიონები გახდნენ: ვაჟებში — სტავროპოლელები ი. ტოკარი და ნ. ბასანოვი, ქალებში — ო. სტარიკოვა (ტოლიატი) და ნ. კოვშოვა (დნეპროპეტროვსკი) ვერცხლი ხვდათ: მოსკოველ ა. ვოლინკინსა და მინსკელ ნ. კოზეკას, ვორონეჟელებს ლ. სოკოლოვასა და ა. ობუხოვას, ბრინჯაო — სვერდლოვსკელებს ვ. პოტაპოვსა და ა. ოსიპოვს, მოსკოველებს ლ. მოსეიკოსა და ლ. ლავროვას. გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. „ბურევესტნიკი“, 2. „ტრუდი“, 3. შეიარაღებული ძალები.

„შესანიშნავი ექვსეული“

ალჭირი, 2 აპრილი. საბჭოთა ვეღოსიპედისტების ექვსეულმა (მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ნ. გორელოვი, მოსკოველი ი. დმიტრიევი, ლენინგრადელი ვ. ნელიუბინი, კიშინიოველები ი. მოსკალიოვი, ვ. ბელოუსოვი, კუიბიშეველი ა. გუსიატნიკოვი) გაიმარჯვა ალჟირის გზებზე გამართული 12-დღიანი რბოლის (1719 კმ) გუნდურ ჩათვლაში. პირად ჩათვლაში საუკეთესო აღმოჩნდა ჰოლანდიელი ფ. შიური.

ᲥᲐᲚᲘ ᲙᲐᲜᲙᲐᲜᲘ

● აშხაბადი, 1 აპრილი. დღეს თურქმენეთის დედაქალაქში სტარტი აიღო XVI რესპუბლიკურმა ღია მრავალდღიანმა ველოორბოლამ, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს ეძღვნება. ველოსიპედისტთა ასეთი მასშტაბის შეჯიბრება საბჭოთა ქვეყანაში პირველია წლევანდელ, ოლიმპიურ წელიწადს. სტარტზე გამოვიდა 13 გუნდი. ასამდე მრბოლელს გასავლელი აქვს 1300 კმ მარშრუტით: აშხაბადი — კიზილი — არვატი — აშხაბადი — ტეჯენი — აშხაბადი. ველოორბოლა 11 აპრილს დამთავრდება. გამარჯვებულ გუნდს თურქმენეთის სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზი გადაეცემა, ხოლო საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს მიიღებენ.

● კიევი, 1 აპრილი. აქ გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩი ადგილობრივი „სპარტაკსა“ და ვესპრენის „ბაკონის“ (უნგრეთი) ხელბურთელ ქალთა შორის. სპარტაკელებმა გაიმარჯვეს — 11:5 (8:2). ყველაზე შედეგიანი იყო კიეველი ტურჩინა, რომელმაც 7 გოლი გაიტანა. ამ გუნდების განმეორებითი ნახევარფინალური შეხვედრა გაიმართება 8 აპრილს.

● მონტე-კარლო, 1 აპრილი. ჩოგბურთელთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის ფინალში გავიდნენ მასტჰოფ-ნისენი (გფრ) და ბენტცერ-ლიოფდალი (შვეცია). მოროზოვა ბრძოლას ჯერ კიდევ მეორე წრეში გამოეთიშა: იტალიელ ბასისთან დამარცხდა — 3:6, 3:6. კოროტკოვმა იტალიელ დი მატეოსთან გამარჯვების შემდეგ (6:4, 6:4) მეოთხედფინალური მატჩი წააგო პალასთან (ჩეხოსლოვაკია) — 3:6, 6:4, 6:1, 1:6, 2:6. 21 წლის ასაკამდე ჭალიშვილთა ტურნირის მეოთხედფინალში გავიდა გრანატუროვა, ხოლო ჭაბუკთა ანალოგიური ტურნირის მეორე წრეში პუგაევმა ფარ-ხმალი დაყარა. ქალთა წყვილებს ნახევარფინალში გავიდნენ მოროზოვა — მასტჰოფ-ნისენისა და გრანატუროვა — კორპაშის (უნგრეთი) დუეტები. შერეულ წყვილთა ნახევარფინალში გაიკვლიეს გზა მოროზოვამ და კუკალმა (ჩეხოსლოვაკია). კოროტკოვმა და ბარკლაიმ (საფრანგეთი) ვაჟთა წყვილების მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს.

● სარაევო, 1 აპრილი. აქ გრძელდება XV საერთაშორისო ტრადიციული საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც საბჭოთა დიდოსტატები ტ. პეტროსიანი და პ. კერესიც მონაწილეობენ. 9 ტურის შემდეგ პეტროსიანსა და საბოს (უნგრეთი) 7-7 ქულა აქვთ, იანსას (ჩეხოსლოვაკია) და ვუკიჩს (იუგოსლავია) — 5,5-5,5 (1-1), კერესს — 5,5. VIII ტურში პეტროსიანმა სძლია იუგოსლავიელ ბოგდანოვიჩს, კერესმა კი ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ასევე მასპინძელ ბოსკოვიჩთან. IX ტურში პეტროსიანმა მოუგო იუგოსლავიელ მატულოვიჩს, კერესმა — გაშიჩს (იუგოსლავია).

● მადრიდი, 2 აპრილი. რიგელმა რაპირისტმა ზ. ფილატოვამ მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა იუნიორთა შორის. გადამწყვეტ მატჩში მან სძლია პოლონელ დ. მაკოვსკას. III ადგილზე გავიდა მოსკოველი ვ. ბუროჩკინა.

ᲥᲐᲚᲘ ᲙᲐᲜᲙᲐᲜᲘ

კომენტარი დღეებიდან

1972 წლის საკავშირო პირველობა ფეხბურთში [illegible]

„ა“ კლასის გუნდები დაყოფილი არიან სამ ლიგად. უმაღლეს ლიგაში გ[illegible] დის 16 კოლექტივი, პირველში — 20, ხოლო II — XVIII სსრკ მეფრენ[illegible] ბენ შვიდ ზონად.

სსრ კავშირის ჩემპიონი გამოვლინდება უმაღლესი ლიგის გუნდების [illegible] ლაში. ჩემპიონი მიიღებს ოქროს მედლებს, II ადგილზე გასული — ვერცხ[illegible] ხოლო III — ბრინჯაოს მედლებს.

გუნდები, რომლებიც უმაღლეს ლიგაში XV და XVI ადგილებს დაიკავე[illegible] 1973 წლისთვის გადავლენ I ლიგაში, ხოლო მათს ნაცვლად I ლიგიდან [illegible] ეადმოვა ორი უძლიერესი გუნდი. I ლიგაში XVIII, XIX და XX ადგილ[illegible] გასული კოლექტივები გადავლენ II ლიგაში, ხოლო მათს ადგილებს დაიკ[illegible] II ლიგის სამი საუკეთესო კლუბი.

თუ სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მატჩებში ერთი კლუბიდან სამზე [illegible] ფეხბურთელი ითამაშებს, მისი კალენდარული შეხვედრა შედგება სპეციალურ[illegible] დაგეგმილ სარეზერვო დღეებში (2, 15 და 28 ივლისი, 5 აგვისტო, 12 დ[illegible] სექტემბერი, 25 ოქტომბერი, 8-12 ნოემბერი).

უმაღლესი ლიგის წლევანდელი კალენდარი შედგენილია ისე, რომ სტუმ[illegible] მყოფი გუნდი სხვა ქალაქებში მატჩებს ჩაატარებს 3-4 დღის ინტერვალ[illegible]

რომელი გუნდი რა იუბილეს აღნიშნავს

„დინამო“ (მოსკოვი)

10 აპრილს საქართველოს დედაქალაქში მოსკოველები თბილისელ თანაკლუბელებს შეხვდებიან მე-60 ჯერ. ასევე მე-60 მატჩი ექნება ამ გუნდს წლეულს „ტორპედოსთან“ და „ზენიტთან“.

მოსკოვის „დინამო“ ჯერ არ დამარცხებულა ალმა-ათის „ყარათთან“. რა მოხდება წლეულს?

„სპარტაკი“ (მოსკოვი)

სპარტაკელთა პირველივე გოლი მოსკოვის „ლოკომოტივის“ კარში საიუბილეო, მე-100 იქნება მათი შეხვედრების ისტორიაში. ამავე დროს ამ გუნდებს მეორე წრის მატჩი რიგით 50-ე იქნება.

ცსკა

არმიელთა მიერ თბილისის „დინამოს“ კარში გატანილი პირველივე გოლი საიუბილეო, მე-100 იქნება.

13 აგვისტოს ალმა-ათაში არმიელები საკავშირო ჩემპიონატების 850-ე მატჩს ჩაატარებენ.

„დინამო“ (თბილისი)

სეზონის პირველივე მატჩებში თბილისელებს შეუძლიათ მე-400 გამარჯვება იზეიმონ. საამისოდ სამი მოგებაა საჭირო.

თბილისელთა პირველივე გოლი კიევის „დინამოს“ კარში საიუბილეო, მე-100 იქნება ამ გუნდების შეხვედრათა ისტორიაში. ამავე გუნდების 6 ივლისის მატჩი კიევში საიუბილეო, მე-60 იქნება მათს შორის.

29 აპრილს მოსკოვში თბილისელები 50-ჯერ შეხვდებიან „ტორპედოს“.

თუ თბილისელებმა ამ სეზონში 41 გოლი გაიტანეს, გუნდი „1500-ანთა კლუბის“ მესამე წევრი გახდება მოსკოვის „დინამოსთან“ და „სპარტაკთან“ ერთად.

„დინამო“ (კიევი)

19 ივლისს მოსკოვში კიეველები მე-60-ჯერ შეხვდებიან „ტორპედოს“.

„ტორპედო“ (მოსკოვი)

23 ივლისს მეორე წრის მატჩი „სპარტაკთან“ საიუბილეო, 850-ე იქნება ტორპედოელთათვის.

თუ „ტორპედომ“ შეძლო 3 გოლის გატანა „ზენიტის“ კარში, ხოლო მათგანი საიუბილეო, მე-100 იქნება.

ასპ (დონის როსტოვი)

როსტოველთა სეზონის ბოლო მატჩი „ტორპედოსთან“ საიუბილეო, 450-ე იქნება.

მე-8 წაგება ამ გუნდისთვის აგრეთვე „საიუბილეო“ იქნება — 150-ე.

„ზენიტი“ (ლენინგრადი)

19 ივლისს როსტოვში ლენინგრადელები 850-ე შეხვედრას ჩაატარებენ.

ლენინგრადელთა მიერ გატანილი მე-13 გოლი 1050-ე იქნება, ხოლო მიღებული 22-ე გოლი — 125-ე.

„დინამო“ (მინსკი)

16 მაისს მინსკში დინამოელები ლვოვის „კარპატისთან“ გამართავენ საკავშირო ჩემპიონატებში თავიანთ 650-ე მატჩს.

მინსკელთა მე-7 ფრე საიუბილეო მე-200 იქნება.

„ნევთჩი“ (ბაქო)

29 მაისს ბაქოში „ნევთჩი“ ჩაატარებს საიუბილეო, მე-500 მატჩს (ა[illegible] დღეს იგი შეხვდება ვოროშილოვგრადის „ზარიას“).

ბაქოელებს თანაბარი ბალანსი აქვ[illegible] „არარატთან“ შეხვედრებში: 7 მოგება 4 ფრე, 7 წაგება, ბურთები: 20—20.

„არარატი“ (ერევანი)

ერევნელთა მიერ გატანილი მე-[illegible] გოლი რიგით 450-ე იქნება.

ერევნელთა კარში გატანილი მე-[illegible] გოლი „საიუბილეო“, 550-ე იქნება მათთვის.

„ზარია“ (ვოროშილოვგრადი)

მე-3 მოგება „ზარიასთვის“ საიუ[illegible]

ვინ როგორ იცვლიდა გუნდებს

როგორც იცით, უცხოეთის პროფესიულ ფეხბურთში მოთამაშეთა ყიდვა-გაყიდვა „უცხო ხელი“ არ გაბლავთ და მისი „ჭამაც“ არ ითვლება დიდ ცოდვად. ზოგიერთი ფეხბურთელი რამდენიმე ქალაქს და ქვეყანასაც კი გამოიცვლის ხოლმე. ჩვენში ამგვარი „ხილით კვება“, ბუნებრივია, არ ხდება, მაგრამ ცალკეულ ფეხბურთელთა მიერ რამდენიმე კლუბის გამოცვლის შემთხვევები მაინც არის. გადავწყვეთ ზოგიერთი მათგანის „შრომის წიგნაკიდან“ ამონაწერს:

ი. საპი — თამაშობდა კიევის „დინამოში“, ვოროშილოვგრადის „ზარიაში“. ახლა მოსკოვის „დინამოშია“.

ნ. ოსიანინი — „კრილია სოვეტოვი“, მოსკოვის „სპარტაკი“, „ყარათი“.

ვ. პორკუიანი — კიევის „დინამო“, „ჩერნომორეცი“, „დნეპრი“.

მ. სკოკოვი — მოსკოვის „დინამო“, მოსკოვის „ტორპედო“, მინსკის „დინამო“, „ურალმაში“.

რ. უმაკუღოვი—„არარატი“, „ზენიტი“, „ნევთჩი“, ლენინგრადის „დინამო“.

ი. სევიდოვი — მოსკოვის „სპარტაკი“, მინსკის „დინამო“, „ყარათი“.

ნ. ანტონევიჩი — ცსკა, დონის როსტოვის ასკ, მოსკოვის „დინამო“, „შახტიორი“.

ბ. კოხი — „კრილია სოვეტოვი“, მოსკოვის „დინამო“, „ლოკომოტივი“, „ზენიტი“.

ი. ბაუჟა — ცსკა, მოსკოვის „დინამო“, მოსკოვის „სპარტაკი“, „ჩერნომორეცი“.

ა. კავაზაშვილი — თბილისის „დინამო“, „ზენიტი“, მოსკოვის „ტორპედო“, მოსკოვის „სპარტაკი“, ქუთაისის „ტორპედო“.

ფეხბურთელთა მიერ კლუბის გამოცვლა, მოგეხსენებათ, ძირითადად წლის ბოლოს ხდება და უეჭველად ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის დადგენილებით. და აი, ჩვენს ხელთაა მის მიერ ბოლო ორი წლის განძილზე დამტკიცებული გადასვლათა აღმრიცხველი მასალები. აქედან გამოტანილი დასკვნები, ვფიქრობთ, დაიმსახურებენ თქვენს ყურადღებას.

ძალიან აქტიურად „მოღვაწეობდა“ კიევის „დინამო“-მან 15 (!) ფეხბურთელი (ვ. კირიჩენკო, ა. პროხოროვი, ს. საბეცკი, ნ. კულიჩენკოვი, ვ. დენეჟი, ვ. გორობა, ს. კაპელენკო, ა. ბორისენკო, ა. ხრისტიანი, ვ. ონოპრიენკო, რ. ქურავსკი, ვ. კაშპური, ბ. ბელოუსი, ა. ბოგოვიკი, ი. ვანკევიჩი) „გასცა“ და 13 მიიღო (მათ შორის, ვ. კოლოტოვი, ს. რუმკო, ს. დოცენკო, მ. ფომენკო, ვ. შევჩენკო და სხვ.).

საოცარია მოსკოვის „სპარტაკის“ ამბავიც. გუნდმა, რომელმაც შარშან მხოლოდ სამი კაცი „გაიმეტა“ (ვ. ევლენტიევი, ნ. ევსეევი, ვ. პროსკურინი) წლეულს ალი ფეხბურთელი „დაარგა“. თუ გავითვალისწინებთ, რომ 10-დან 5 (ა. კავაზაშვილი, ნ. ოსიანინი, ვ. ამბარცუმიანი, ვ. პეტროვი, ვ. ივანოვი) უწინ სსრ კავშირის პირველ ნაკრებში გამოდიოდა და დანარჩენი ხუთიც (ი. ბაუჟა, ჯ. სილაგაძე, ი. გრიგორიევი, ა. ბოროვიკოვი, ოვჩინიკოვი) არ არის „ხელწამოსაკრავი“, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამგვარი „გულუხვობა“ არა თუ ბოლო წლებში, საერთოდ ჩემპიონატების ისტორიაშიც არ გვახსოვს.

რახან სიტყვა „გულუხვობაზე“ ჩამოვარდა, ამ მხრივ არც როსტოვის არ მიეღება და მოსკოვის ტორპედოელები ჩამორჩებიან. მათ შესაბამისად 11 (ანტონევიჩი, ი. სმირნოვი, ა. მირნოვი, ვ. ტლიარუგოვი, ვ. პროსკურინი, ი. მატვეიენკო, ვ. გოლოვკო,

№	გუნდები	1	2	3	4	5	6	7	8	9
1	„დინამო“ (კიევი)		+19; =6; —2 40 : 9	+15; =22; —22 80 : 99	+7; =3; —0 16 : 4	+15; =15; —32 68 : 125	+16; =22; —24 72 : 93	+14; =19; —25 71 : 103	+12; =4; —2 36 : 8	+12; = 44 :
2	„არარატი“ (ერევანი)	+2; =6; —19 9 : 40		+6; =6; —10 30 : 35	+4; =2; —4 9 : 7	+5; =3; —14 22 : 52	+4; =8; —8 16 : 27	+5; =8; —7 21 : 25	+6; =9; —3 21 : 14	+7; = 20 :
3	„დინამო“ (თბილისი)	+22; =22; —15 99 : 80	+10; =6; —6 35 : 30		+5; =5; —0 12 : 3	+11; =12; —36 70 : 130	+23; =11; —27 77 : 100	+27; =17; —15 108 : 86	+6; =7; —1 20 : 8	+16; = 39 :
4	„ზარია“ (ვოროშილოვგრადი)	+0; =3; —7 4 : 16	+4; =2; —4 7 : 9	+0; =5; —5 3 : 12		+3; =2; —5 4 : 9	+1; =3; —6 5 : 14	+5; =2; —3 10 : 7	+2; =2; —2 8 : 8	+3; = 11 :
5	„დინამო“ (მოსკოვი)	+32; =15; —15 125 : 68	+14; =3; —5 52 : 22	+36; =12; —11 130 : 70	+5; =2; —3 9 : 4		+24; =19; —17 89 : 69	+31; =9; —18 105 : 74	+7; =7; —0 15 : 2	+11; = 40 :
6	„სპარტაკი“ (მოსკოვი)	+24; =22; —16 93 : 72	+8; =8; —4 27 : 16	+27; =11; —23 100 : 77	+6; =3; —1 14 : 5	+17; =19; —24 69 : 89		+17; =18; —21 91 : 101	+13; =3; —2 28 : 11	+13; = 57 :
7	„ტორპედო“ (მოსკოვი)	+25; =19; —14 103 : 71	+7; =8; —5 25 : 21	+15; =17; —27 86 : 108	+3; =2; —5 7 : 10	+18; =9; —31 74 : 105	+21; =18; —17 101 : 91		+7; =2; —5 20 : 13	+11; = 37 :
8	„ურალმაში“ (ალმა-ათა)	+2; =4; —12 8 : 36	+3; =9; —6 14 : 21	+1; =7; —6 8 : 20	+2; =2; —2 8 : 8	+0; =7; —7 2 : 15	+2; =3; —13 11 : 28	+5; =2; —7 13 : 20		+8; = 20 :
9	„ნევთჩი“ (ბაქო)	+4; =11; —12 20 : 44	+7; =4; —7 20 : 20	+3; =8; —16 16 : 39	+2; =5; —3 9 : 11	+4; =12; —11 21 : 40	+7; =7; —13 33 : 57	+6; =10; —11 26 : 37	+7; =1; —8 19 : 20	
10	„კარპატი“ (ლვოვი)	+1; =0; —1 3 : 2	+0; =2; —0 3 : 3	+0; =2; —0 2 : 2	+0; =1; —1 0 : 1	+0; =1; —1 1 : 3	+0; =1; —1 1 : 4	+0; =2; —0 1 : 1	+0; =1; —1 4 : 5	+0; = 1 :
11	„დინამო“ (მინსკი)	+7; =10; —24 29 : 62	+9; =5; —8 33 : 30	+7; =13; —21 42 : 79	+4; =4; —2 8 : 7	+9; =11; —21 25 : 64	+7; =11; —27 35 : 89	+7; =16; —16 40 : 62	+9; =3; —8 23 : 24	+12; = 32 :
12	ცსკა (მოსკოვი)	+16; =19; —26 82 : 83	+14; =5; —3 42 : 12	+27; =10; —19 99 : 73	+4; =2; —4 15 : 9	+24; =15; —22 78 : 92	+27; =13; —19 82 : 74	+12; =15; —21 77 : 87	+8; =5; —5 21 : 12	+14; = 41 :
13	„ზენიტი“ (ლენინგრადი)	+17; =19; —20 68 : 86	+9; =5; —8 32 : 31	+10; =15; —31 65 : 115	+1; =7; —2 5 : 5	+9; =13; —36 39 : 116	+15; =9; —32 63 : 115	+13; =14; —29 57 : 97	+8; =5; —7 22 : 21	+13; = 39 :
14	ასპ (დონის როსტოვი)	+3; =8; —15 24 : 52	+7; =4; —9 30 : 25	+7; =6; —13 30 : 39	+1; =5; —4 11 : 16	+6; =9; —11 24 : 40	+5; =7; —12 22 : 37	+5; =10; —13 30 : 42	+6; =4; —4 23 : 14	+9; = 22 :
15	„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	—	—	—	—	—	—	—	—	—
16	„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	+12; =14; —24 54 : 80	+7; =2; —11 22 : 32	+14; =8; —23 69 : 87	+1; =2; —1 4 : 3	+9; =8; —27 51 : 109	+7; =11; —30 53 : 99	+18; =6; —20 61 : 58	+4; =8; —3 16 : 13	+5; = 22 :

ხოლო შინ დაბრუნებისას ციკლი თამაშებს შორის გახანგრძლივებულია. ეს გუნდებს საშუალებას მისცემს უფრო გეგმიანად და ნაყოფიერად აწარმოონ საწვრთნელი პროცესი.

სათამაშო დღეები უმაღლეს და I ლიგებში ერთმანეთს არ ემთხვევა. ჩემპიონატში მოსკოვიდან გამოდის 5 გუნდი, ამიტომ ზოგიერთი ტურის მატჩები იქ ჩატარდება ერთ დღეს ორ სტადიონზე, მაგრამ სხვადასხვა დროს.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია საგანგებო ზომებს მიმართავს წესრიგის დამრღვევ ფეხბურთელთა მიმართ. თუ მოთამაშე გაძევებული იქნა მინდვრიდან, ან მიიღო ორი გაფრთხილება, გააცდენს მორიგ კალენდარულ მატჩს საკავშირო პირველობაზე ან თასზე, თუ მას სასჯელის სხვა ზომა არ ელის. იგივე ფეხბურთელი შემდგომში გააცდენს ერთ თამაშს იქ, სადაც ჩაწერილი ყოველი გაფრთხილებისთვის. ფეხბურთელს, რომელსაც დაუგროვდება ოთხი გაფრთხილება ან ორი გაძევება, ან ერთი გაძევება და ორი გაფრთხილება, დისკვალიფიკაცია მიეცემა სეზონის ბოლომდე.

შეიძლება დისკვალიფიცირებული იქნას და მოიხსნას საკავშირო ჩემპიონატიდან ან ოსების გათამაშებიდან მთლიანად გუნდიც დისციპლინის უხეში დარღვევისთვის (მინდვრის დემონსტრაციულად დატოვება, ფეხბურთელთა ხულიგნური საქციელი და სხვ.).

19, 10, 4

თბილისის „დინამომ“ საკავშირო ჩემპიონატები 19-ჯერ მოგებით დაიწყო, 10-ჯერ — ფრეთი და 4-ჯერ — წაგებით.

19 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისელებს კიევში მატჩი არ მოუგიათ.

1958 წლიდან თბილისელ ფეხბურთელებს არ მოუგიათ არც ერთი მეზუთე შეხვედრა. 1972 წლის გათამაშებაში თბილისის „დინამო“ რიგით მეხუთე მატჩს ჩაატარებს თბილისში — ბაქოს „ნეფთჩისთან“.

ჟ. მეტრეველი.

დღეს — „ლოკომოტივის“ სტადიონზე: „დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი). დაესწარით XXXIV საკავშირო ჩემპიონატის პირველ მატჩს ჩვენს მინდორზე!



„ტექნიკური სიახლე“ — ასე უწოდა თბილისელმა ფოტორეპორტიორმა მ. დათიკაშვილმა თავის ამ სურათს, რომელიც გამოჰქვეყნებულია გამოფენაზე „საქდესის ფოტო-71“.

ლამპტებები და ცვლილებები

მოსკოვი, 1 აპრილი. სსრ კავშირის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ და ფეხბურთის საკავშირო ფედერაციამ უმაღლესი ლიგის გუნდების შემადგენლობებში დამატებები და ცვლილებები მოახდინეს.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში წარდგენილი საგანაცხადო ციებიდან ამოღებული არიან შემდეგი მოთამაშეები: ბ. ალიოშინი („დინამო“, მოსკოვი), ი. სევიდოვი („კარპატი“), ე. შაპოვალენკო („ზენიტი“), ა. ზაბიშნი, ვ. შალნევი, ვ. მელნიჩენკო, ვ. ობეძინსკი (ყველა — ასკ, როსტოვი), ა. ბერკოვსკი („დნეპრი“), ნ. მასლოვი, რ. ატამალიანი (ორივე — „ლოკომოტივი“).

უმაღლესი ლიგის გუნდებში დამატებით დამტკიცებული არიან შემდეგი ფეხბურთელები:

როსტოვის არმიელთა გუნდში — მცველები ბ. კესტუსისი, მ. შერგელაშვილი, ნახევარმცველი ვ. ციბინი, თავდამსხმელი ფ. ჯავადოვი;

„დნეპრში“ — ნახევარმცველი ა. ალექსეევი, თავდამსხმელები ა. კოშლატენკო, ნ. სამოილენკო, პ. სლობოდიანი,

„ლოკომოტივში“ — მცველი ვ. სინაუ.

როსტოვის არმიელთა გუნდის ერთერთ მწვრთნელად დამტკიცებულია სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. აფონინი.

ბილეო, 50-ე იქნება, ხოლო მე-16 გატანილი გოლი — რიგით 150-ე.

აღსანიშნავია, რომ ხუთი სეზონის განმავლობაში, რაც „ზარია“ უმაღლეს ლიგაშია, მას ჯერ არც ერთი მოგება არ უზეიმია კიევისა და თბილისის დინამოელებთან.

საინტერესოა, რომ „ზარიამ“ თბილისში, შ. იამანიძის გამოსათხოვარ მატჩში (1967 წ.) ფრედ ითამაშა „დინამოსთან“ — 3:3. ამის შემდეგ ეს გუნდები კიდევ 9-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ „ზარიამ“ ვერ შეძლო ვერც ერთი ბურთის გატანა.

„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)

14 მაისის მატჩი მოსკოვში „ნეფთჩის“ წინააღმდეგ რკინიგზელთაოვის საიუბილეო, მე-700 იქნება. ასევე საიუბილეო, მე-200 იქნება მისი მე-11 ფრეც.

რკინიგზელთა კარში გატანილი მე-10 გოლი 1050-ე იქნება.

„ყაირათი“ (ალმა-ათა)

6 ივლისის მატჩი დნეპროპეტროვსკში „დნეპრთან“ ალმაათელებისთვის 350-ე იქნება უმაღლეს ლიგაში. მე-6 ფრე რიგით მე-100, ხოლო მე-11 წაგება — 150-ე დამარცხება იქნება.

„ყაირათის“ მიერ გატანილი მე-8 გოლი საიუბილეოა — მე-300.

მე-8 მიღებული გოლიც „საიუბილეოა“ — მე-400.

„კარპატი“ (ლვოვი)

13 აგვისტოს ლვოველები შინ კიეველებთან ჩაატარებენ საიუბილეო, 50-ე შეხვედრას.

ლვოველთა მიერ გატანილი მე-20 გოლი სულ 50-ე იქნება, ხოლო მათ კარში გატანილი მე-15 გოლი ასევე „საიუბილეოა“ — 50-ე.

ჯ. ჩაჩავა.

ტრემბაჩი, ა. ჩინჩენკო, ა. ფეტისოვი, რ. კუჩინსკასი) და 10 (ლ. ლაიზანი, დ. პაისი, ი. მირონოვი, ა. ლენიოვი, ა. მალიავკინი, ვ. გულიამბაიძაროვი, ი. სავჩენკო, ვ. სპირიდონოვი, გ. იანეცი, მ. გერშკოვიჩი) ფეხბურთელი „ჩამოარაგეს“.

ახალი წევრების მიღებაში წელს საქმოდ გააქტიურდნენ უკრაინის გუნდები: „კარპატი“ (ა. ჩინჩენკო, ი. სევიდოვი, ე. კოზინკევიჩი, ი. კიკოტი, რ. ფურავსკი, რ. შპოდარუნოკი), „შახტიორი“ (დ. პაისი, ნ. ანტონევიჩი, ვ. კაშჩეი, ვ. გოლოვკო, ვ. საფონოვი), „დნეპრი“ (ვ. პორკუიანი, ვ. ივანოვი, ვ. დენეჟი).

არც მინსკის „დინამო“ იჯდა „გულხელდაკრეფილი“ (ბ. ბელოუსი, ა. პოგოვიკი, ი. გრიგორიევი, ვ. კირიჩენკო, ა. ოვჩინიკოვი, ს. პავლენკო).

საინტერესო ურთიერთობა დამყარდა „ყაირათსა“ და მოსკოვის გუნდებს შორის. მოსკოვიდან „ყაირათში“ სათამაშოდ გადავიდნენ ვ. ევლენტიევი, ს. როჟკოვი, ნ. ოსიანინი, ვ. იანკინი, ხოლო საპასუხო „ვიზიტით“ მოსკოვს ეწვივნენ ო. დოლმატოვი, ვ. ხისამუტდინოვი, ვ. კისლიაკოვი.

საერთოდ კი შესამჩნევია „ყაირათის“ ფართო „გეოგრაფიული მადა“. ამ გუნდში მოსკოველთა გარდა გამოსულან ყარაგანდელი (ვ. კრუგლიხინი), ოდესელი (ე. მიხაილინი), მინსკელი (ი. სევიდოვი), საბაროვსკელი (ე. კოქემიაკო), კემეროვოელი (ნ. გოლიკოვი) და სხვა ქალაქების ფეხბურთელები.

თბილისის დინამოელებს ნალჩიკის სპარტაკელი ა. აფშევის მერე არც ერთი „უცხოელი“ ფეხბურთელი არ მოუწვევიათ.

გ. გარაყანიძე.

ცხრილის კომენტარები

ვეხგურთის სტატისტიკოსმა, თბილისელმა ჯ. ჩაჩავამ საკავშირო ჩემპიონატის წინ რედაქციას მოაწოდა საინტერესო ნაირთი ცხრილი. მასში დეტალურადაა ნაჩვენები უმაღლესი ლიგის გუნდების მიერ საკავშირო ჩემპიონატებში ერთმანეთთან ნათამაშევი მატჩების შედეგები. ცხრილის გაშიფვრა სულ იოლია. განვიხილოთ პირველივე სვეტი: კიევის „დინამოს“ ერევნის „არარატთან“ მოუგია 19 მატჩი, ფრედ უთამაშია 6-ჯერ, წაუგია 2 შეხვედრა. ბურთების შეფარდებაა 40:9 კიეველთა სასარგებლოდ, ესე იგი, + ნიშნავს მოგებას, = ფრეს, — წაგებას. ჟვემო სტრიქონში ჩანიშნულია გატანილი და მიღებული ბურთების შეფარდება.

ბოლო სვეტში ნაჩვენებია ყოველი გუნდის საერთო შედეგები სსრ კავშირის ჩემპიონატებში. თბილისის „დინამოს“ ჩატარებული აქვს 856 შეხვედრა, რომელთაგან 397 მოიგო, 236 ფრედ დაამთავრა და 223 წააგო. ბურთების შეფარდება — 1459:1058.

ყველა სვეტში მინუსები აქვს მხოლოდ დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“, ვინაიდან იგი პირველად გამოდის უმაღლეს ლიგაში.

	10	11	12	13	14	15	16	სულ — მთელი ჩემპიონატების მანძილზე
—4	+1; =0; —1 2 : 3	+24; =10; —7 62 : 29	+26; =19; —16 83 : 82	+20; =19; —17 86 : 68	+15; =8; —3 52 : 24	—	+24; =14; —12 80 : 54	861 თ. 373 მ. 259 ფრ. 229 წ. ბურთები: 1328:1064
—7	+0; =2; —0 3 : 3	+8; =5; —9 30 : 33	+3; =5; —14 12 : 42	+8; =5; —9 31 : 32	+9; =4; —7 25 : 30	—	+11; =2; —7 32 : 22	404 თ. 132 მ. 108 ფრ. 164 წ. ბურთები: 446:544
—3	+0; =2; —0 2 : 2	+21; =13; —7 79 : 42	+19; =10; —27 73 : 99	+31; =15; —10 115 : 65	+13; =6; —7 39 : 30	—	+23; =8; —14 87 : 69	856 თ. 397 მ. 236 ფრ. 223 წ. ბურთები: 1459:1058
—2	+1; =1; —0 1 : 0	+2; =4; —4 7 : 8	+4; =2; —4 9 : 15	+2; =7; —1 5 : 5	+4; =5; —1 16 : 11	—	+1; =2; —1 3 : 4	168 თ. 47 მ. 61 ფრ. 60 წ. ბურთები: 134:164
—4	+1; =1; —0 3 : 1	+21; =11; —9 64 : 25	+22; =15; —24 92 : 78	+36; =13; —9 116 : 39	+11; =9; —6 40 : 24	—	+27; =8; —9 109 : 51	865 თ. 473 მ. 211 ფრ. 181 წ. ბურთები: 1708:819
—7	+1; =1; —0 4 : 1	+27; =11; —7 89 : 35	+19; =13; —27 74 : 82	+32; =9; —15 115 : 63	+12; =7; —5 37 : 22	—	+30; =11; —7 99 : 53	861 თ. 435 მ. 221 ფრ. 205 წ. ბურთები: 1567:931
—6	+0; =2; —0 1 : 1	+16; =16; —7 62 : 40	+21; =15; —19 87 : 77	+29; =14; —13 97 : 57	+13; =10; —5 42 : 30	—	+20; =6; —18 58 : 61	833 თ. 357 მ. 236 ფრ. 240 წ. ბურთები: 1351:1048
—7	+1; =1; —0 5 : 4	+8; =3; —9 24 : 23	+5; =5; —8 12 : 21	+7; =5; —8 21 : 22	+4; =4; —6 14 : 23	—	+3; =81; —4 13 : 16	336 თ. 103 მ. 94 ფრ. 139 წ. ბურთები: 292:392
[illegible]	+1; =1; —0 5 : 1	+8; =8; —12 29 : 32	+4; =9; —14 25 : 41	+9; =5; —12 32 : 39	+8; =5; —9 20 : 22	—	+5; =9; —5 25 : 22	491 თ. 151 მ. 152 ფრ. 188 წ. ბურთები: 539:608
—1	[illegible]	+1; =1; —0 3 : 1	+0; =2; —0 3 : 3	+0; =2; —0 0 : 0	+1; =0; —1 3 : 4	—	—	30 თ. 5 მ. 18 ფრ. 7 წ. ბურთები: 30:35
—8	+0; =1; —1 1 : 3	[illegible]	+4; =13; —23 26 : 67	+12; =15; —12 47 : 46	+4; =7; —7 19 : 24	—	+13; =7; —11 37 : 43	643 თ. 188 მ. 193 ფრ. 262 წ. ბურთები: 669:874
—4	+0; =2; —0 3 : 3	+23; =13; —4 67 : 26	[illegible]	+30; =18; —5 109 : 45	+10; =7; —9 31 : 24	—	+23; =13; —11 95 : 48	830 თ. 417 მ. 211 ფრ. 202 წ. ბურთები: 1453:867
—9	+0; =2; —0 0 : 0	+12; =15; —12 46 : 47	+5; =18; —30 45 : 109	[illegible]	+5; =6; —13 26 : 37	—	+16; =11; —15 65 : 60	834 თ. 271 მ. 232 ფრ. 331 წ. ბურთები: 1037:1228
—8	+1; =0; —1 4 : 3	+7; =7; —4 24 : 19	+9; =7; —10 24 : 31	+13; =6; —5 37 : 26	[illegible]	—	+5; =6; —7 25 : 25	420 თ. 159 მ. 119 ფრ. 142 წ. ბურთები: 568:510
	—	—	—	—	—	[illegible]	—	—
—5	—	+11; =7; —13 43 : 37	+11; =13; —23 48 : 95	+15; =11; —16 60 : 65	+7; =6; —5 25 : 25	—	[illegible]	693 თ. 227 მ. 189 ფრ. 277 წ. ბურთები: 927:1040

პირველი რეკეტი

საქართველოს მოსწავლე მძლეოსანთა ნაკრებს შარშანდელ საკავშირო სპარტაკიადაში მოპოვებული მაჩვენებლებისთვის ვერ დავემდურებით. ყოველ შემთხვევაში, მათ თავიანთ უფროს კოლეგებს აჯობეს. ცხადია, მოზარდებისგან კვლავ წინსვლას ველით მომავალ საკავშირო სპარტაკიადაში, რომელიც საზაფხულო არდადეგების დროს ჩატარდება. დებულების თანახმად, ამ დიდი შეჯიბრების სტარტზე გამოვლენ მხოლოდ 1955 წელს დაბადებული საშუალო სკოლის მოსწავლეები (შარშანდელ კურსდამთავრებულებს ამის უფლება არ ეძლებათ).

საქართველოს მოსწავლეთა საგაზაფხულო ტურნირიც (თბილისი, „ლოკომოტივის“ სტადიონი) სწორედ ამ ფორმულით გაიმართა, მაგრამ ბრძოლა უფრო საინტერესო რომ ყოფილიყო, უკონკურსოდ სამუშაო სკოლების კურსდამთავრებულნიც დაუშვეს საასპარეზოდ.

ერთი სიტყვით, სარბიელი ფართო იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, III ჯგუფის გუნდებიდან (გორი, ზუგდიდი, სამტრედიის, საგარეჯოს, დუშეთის, თელავის, ზუგდიდის რაიონები) ჩათვლა ვერც ერთმა მძლეოსანმა ვერ მიაღწია, რის გამო ამ ჯგუფში გამარჯვებული კოლექტივი არ გამოვლენილა.

ტურნირის საერთო შედეგები ნაკლებ სახარბიელო იყო: პირველი თანრიგის ნორმატივი მხოლოდ ოთხმა კაცმა შეასრულა. ეს იქნებ სეზონის პირველი სტარტის ბრალია, მაგრამ იმის გამართლება კი აღარაფრით შეიძლება, რომ გოგონათა შორის შუბის ტყორცნაში, 1500 მეტრზე რბენაში, სიმაღლეზე ხტომაში გამარჯვებულები მხოლოდ მესამე თანრიგის მაჩვენებლებს დასჯერდნენ. თბილისელმა ვ. სესპოსოვმა 5000 მეტრზე რბენაში ჭაბუკთა პირველი თანრიგის შესაბამისი შედეგით (17.43,0) გაიმარჯვა, 100 მეტრზე თარჯრბენში უძლიერესი, თბილისელი ტ. რიჟაოვა (19,2) კი ვერც ერთ თანრიგს ვერ შეჭვდა.

სიმაღლეზე ხტომელებისგან მეტს ველოდით. ფოთელმა ნ. კუშნირმა და თბილისელმა ა. შერბინამ I და II ადგილები 175 სანტიმეტრის გადალახვით მოიპოვეს, თბილისელმა ზ. კოსტრიკინამ კი 145 სანტიმეტრის დაძლევით აჯობა ყველას.

უფრო სავალალო ამბების მოწმენიც ვიყავით. ესტაფეტებში მძლეოსანთა ტექნიკური მომზადების დონე ისე დაბალია, რომ სპორტსმენთა უმეტესობამ ასპარეზობისა და ესტაფეტის გაგაცემის წესებიც კი არ იცის. ამიტომ იყო, რომ 4×400 მეტრზე გოგონების ესტაფეტაში (სტარტზე სულ ორი გუნდი გამოვიდა) აფხაზეთის ნაკრებმა წესი პირველივე წრეზე დაარღვია — ბილიკიდან გადავიდა. თბილისის გუნდმაც დაარღვია წესი: ბოლო ეტაპზე ესტაფეტის გადაცემა დერეფანში წესვლამდე მოხდა. მოზარდებში ესტაფეტის გადაცემის სხვა ტექნიკური ილეთებიც დაბალ დონეზე სრულდებოდა.

სარეზებს რესპუბლიკის ნაკრების მწვრთნელებიც კარგად ამჩნევდნენ, ამიტომ სხვა ნაკლოვანებებზე აღარ შევჩერდებით.

შეჯიბრებაში რამდენიმე კარგი შედეგიც ვნახეთ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველკურსელმა ვ. ხმელიძემ (მწვრთნელი ვ. შმაკოვი) ბირთვის კვრაში უფროსი ასაკის ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდი, რომელიც შარშან დაამყარა, 25 სანტიმეტრით გააუმჯობესა — 15,56 მ აჩვენა. ეს შედეგი მოზრდილთა პირველი თანრიგის ნორმატივზე უკეთესია. I ადგილი მიეკუთვნა ხაშურელ ნ. ყესაშვილს (14,43 მ), რომელიც თბილისის № 1 სპორტსკოლა-ინტერნატში სწავლობს.

3000 მეტრზე კარგად ირბინა თბილისის 146-ე სკოლის მეათეკლასელმა ი. არჯევანიძემ. სპორტსმენს ძლიერი მეტოქე რომ ჰყოლოდა, ჩვენი აზრით, ქუთაისელი ლ. ტიტვის მიერ 1967 წელს დამყარებულ რეკორდს (8.42,8) გააუმჯობესებდა, ამჯერად კი რეკორდზე 0,8 წამით უარესი შედეგით დაკმაყოფილდა. არჯევანიძეს ბადალი არც 2000 მეტრზე წინაღობებით რბენაში ჰყავდა — 6.18,9.

თბილისის უნივერსიტეტის პირველკურსელი ვ. სოროკინი 217 სმ სიგრძეზე გადახტა, ხაშურელმა ნათელა ლაბაძემ ბადრო 43,42 მეტრზე ტყორცნა, სოხუმელმა ტ. ბელოვამ 200 მ 25,7 წამში გაირბინა. სამივე შედეგი პირველი თანრიგისაა (ბელოვამ 100 მეტრზე რბენაც მოიგო — 12,5).

ორი I ადგილი დაიკავა სამხრეთ ოსეთის ნაკრების წევრმა მ. ჩარაევმა: სიგრძეზე ხტომაში — 676 სმ და სამხტომში — 13,97 მ. მას არც თბილისელები ი. ბისანოვი (400 მ — 52,8, 800 მ — 2.04,1) და დ. მელაძე (100 მ — 11,2, 200 მ — 23,0) ჩამორჩნენ.

უროს ტყორცნაში სამივე პრიზიორმა პირადი რეკორდი დაამყარა. ესენი არიან: შ. აგიშევი (თბილისი, პირადი) — 51,16, რ. ფუხაევი (გარდაბანი) — 50,56 და გ. ელიაშვილი (თბილისი) — 48,82 მ.

400 მეტრზე თარჯრბენი „ქუთაისელთა სახეობა“ გახლდათ: I და II ადგილები ე. ზენინმა (59,5) და ე. ჩოგოვაძემ (1.00,7) დაისაკუთრეს.

საკავშირო სპარტაკიადამდე საკმაო დროა. საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების წევრები მანამდე რამდენიმე დიდ ტურნირში იასპარეზებენ, ტექნიკის სრულყოფისთვის იბრძოლებენ, რომ გადამწყვეტი სტარტებისთვის საუკეთესო სპორტულ ფორმას მიაღწიონ.

ტურნირის ორგანიზატორმა — საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ კარგი საქმე გააკეთა, როცა ასპარეზოდ თბილისის № 1 სპორტსკოლა-ინტერნატის გუნდი დაუშვა. ინტერნატელებმა საერთო გუნდურ ჩათვლაში აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისის, სამხრეთ ოსეთის კოლექტივებს აჯობეს და I ადგილი მხოლოდ თბილისის ნაკრებს დჯუმპეს. III ადგილზე არიან აჭარის მძლეოსნები.

II ჯგუფში გაიმარჯვეს მახარაძელებმა. II ადგილზეა ხაშურის რაიონის გუნდი, III — რუსთავის კოლექტივი.

ო. გელაშვილი.

„დინამო“ და შეიარაღებული ძალების ბრძოლა

კიევი, 3 აპრილი. სპორტის სასახლეში მოსული 5 ათასზე მეტი მაყურებელი მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის, გრუზნოელი ტანმოვარჯიშე ლ. ტურიშჩევას ბრწყინვალე წარმატების მოწმე გახდა საკავშირო ჩემპიონატში. სავალდებულო პროგრამის შემდეგ თანაბრად დაწინაურებულ დინამოელთა დუეტის — ტურიშჩევასა და ვიტებსკელი თ. ლაზაკოვიჩის ბრძოლაში ნებისმიერი პროგრამის პირველივე სახეობაში — თავისუფალ ვარჯიშში ტურიშჩევა დაწინაურდა — შეჯიბრების უმაღლესი შეფასება — 9,8 ქულა მიიღო (ლაზაკოვიჩმა — 9,7). მერე გროზნოელმა 0,1 ქულით აჯობა თავის მეტოქეს ბჯენით სტომაში — 9,4 ქულა დაიმსახურა. ორძელზე ორივემ საუცხოოდ ივარჯიშა — 9,75-9,75. ბოლოს კი ტურიშჩევამ ბრწყინვალედ იასპარეზა დვირზე (9,7) და ქულათა საუკეთესო ჯამით დაასრულა ტურნირი — 76,2. ლაზაკოვიჩმა დვირზე 9,5 ქულა მიიღო, საბოლოოდ კი — 75,8.

III ადგილზეა გროდნოელი ო. კორბუტი — 75,5.

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებისთვის გარდამავალი თასი და ოქროს მედლები „დინამოს“ ქალთა ნაკრებს ხვდა, რომელმაც სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამების ჯამში 449,1 ქულა დააგროვა. II ადგილზე გავიდნენ შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები (436,4), III — „შრომითი რეზერვების“ სპორტსმენები — 435,25.

ვაჟთა შორის 43-ე საკავშირო ჩემპიონატის გუნდურ ჩათვლაში საუკეთესო აღმოჩნდა შეიარაღებული ძალების ნაკრები — 660,3 ქულა. ოქროს მედლები გადაეცათ ვ. კლიმენკოს, ვ. შჩუკინს, ს. დიომიდოვს, გ. ბოგდანოვს, ვ. ბოიკოს, ვ. კომისაროვს (ვ. ფოგელმა ავადმყოფობის ვამო ვერ იასპარეზა).

II ადგილზე გავიდა „ბურევესტნიკი“ (644,6), III — „დინამო“ (643,8).

ტანვარჯიშში

ჩემპიონატები, გათვრები, ტიტები

ინგლისი

XXXVI ტურმა რამდენიმე სიურპრიზი მოიტანა. „მანჩესტერ-სიტიმ“ შინ წააგო XIII ადგილზე მყოფ „სტოკ-სიტისთან“ — 1:2. მეკარე ბენჰისის ბრწყინვალე თამაშმა ბევრჯერ იხსნა „სტოკ-სიტის“ კარი, მაგრამ ლიმ მაინც მოახერხა გოლის გატანა. „სტოკ-სიტიმ“ მხოლოდ რამდენიმე კონტრშეტევა განახორციელა, 2 გოლის გატანა კი შეძლო.

ჩემპიონატის ფინიშამდე სულ 6 ტური დარჩა და ამ დროს „მანჩესტერ-სიტიმ“ ლიდერობა დაუთმო I ლიგის დებიუტანტს „დერბი ქაუნთის“, რომელმაც შინ დაამარცხა „ლიდს იუნაიტედი“ — 2:0.

„ლივერპულმა“ მოუგო „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს“ — 2:0.

საუკეთესო სნაიპერების სია ასეთია: ფ. ლი („მანჩესტერ-სიტი“) — 32 გოლი, მ. ჩივერსი („ტოტენჰემ ჰოტსპური“) — 29, ჯ. ბესტი („მანჩესტერ იუნაიტედი“) და კ. ბესტი („ვესტ ჰემ იუნაიტედი“) — 23-23 გოლი.

ა ი, ლიდერთა სამეული:

	თ.	ბ.	ქ.
„დერბი ქაუნთი“	36	62:30	51
„მანჩესტერ-სიტი“	36	67:38	50
„ლივერპული“	35	53:27	46

შოტლანდია

გლაზგოს „სელტიკმა“ დაამარცხა „პარტიკ თისტლი“ (3:1) და თითქმის გაინადგა ჩემპიონობა. ედინბურგში „ჰართ ოვ მიდლოტიენმა“ სძლია „აბერდინს“ — 1:0.

„სელტიკი“	28	80:20	51
„აბერდინი“	29	72:24	46
„გლაზგო რეინჯერსი“	28	59:27	39

რუმინეთი

„უტ არადმა“ თავის მინდორზე მოუგო I ლიგის დებიუტანტს — ორაიონის „კრისულს“ — 1:0. „არჯესმა“ წააგო ბრაშოვის „სტიაგულ როშუსთან“ — 0:2.

„უტ არადი“	18	35:16	25
„არჯესი“ (პიტეშტი)	18	31:25	22
„ბაკეუ“	18	31:24	21

ბულგარეთი

სოფიის ცსკა-მ დაამარცხა „ჩარდაფონი“ — 5:1. სოფიის „ლევსკი სპარტაკმა“ ვარნაში მოუგო ადგილობრივ „სპარტაკს“ — 3:0.

ცსკა (სოფია)	21	47:16	35
„ლევსკი სპარტაკი“	21	41:16	30
„ბეროე“ (სტარა ზაგ.)	21	40:29	27

პორტუგალია

ლისაბონის „ბენფიკა“ პირველად დამარცხდა: ანგარიშით 0:1 წააგო „ბარეირენსესთან“. სეტუბალის „ვიტორიამ“ შინ მოუგო კოიმბრის „აკადემიკას“ — 2:0, ლისაბონის „სპორტინგმა“ — „პორტუს“ — 2:1.

„ბენფიკა“	24	62:10	43
„ვიტორია“	24	54:17	37
„სპორტინგი“	24	44:22	35

საფრანგეთი

ნიმში ადგილობრივმა „ოლიმპიკმა“ წააგო ლიდერთან — მარსელის „ოლიმპიკთან“ — 1:3. „ნანტმა“ მოუგო „სტად რენს“ — 4:0.

„ოლიმპიკი“ (მარსელი)	28	59:25	42
„ოლიმპიკი“ (ნიმი)	28	53:27	35
„ნანტი“	28	57:37	33

ჰოლანდია

ამსტერდამის „აიაქსმა“ მოუგო „დვს ამსტერდამს“ — 2:0, როტერდამის „ფეიენოორდმა“ კი დაამარცხა „ტელსტარი“ — 3:1.

„აიაქსი“	26	68:14	49
„ფეიენოორდი“	26	54:12	44
„ტვენტე“	26	34:10	36

იუგოსლავია

ბელგრადის „ცრვენა ზვეზდამ“ გასვლით მატჩში შეძლო ერთადერთი ბურთის გატანა „სუტიესკას“ კარში — 1:0. სპლიტის „ჰაიდუკმა“ ნოვისადში იოლად მოუგო ადგილობრივ „ვოივოდინას“ — 5:1.

„შელეზნიჩარი“	21	34:15	31
„ცრვენა ზვეზდა“	22	33:11	31
„ვოივოდინა“	22	33:19	29

შვეიცარია

„ციურიხმა“ და „გრასჰოპერსმა“ ფრედ ითამაშეს (1:1), ხოლო „ბაზელმა“ შინ მოუგო „სენტ-გალენს“ — 3:0.

„ბაზელი“	16	40:18	26
„ციურიხი“	16	33:16	25
„გრასჰოპერსი“	16	30:16	22

გფრ

გელზენკირჰენის „შალკე 04“ დასავლეთ ბერლინში დამარცხდა ადგილობრივ „ჰერთასთან“ (0:3) და ლიდერობა დაუთმო მიუნჰენის „ბაიერსს“, რომელმაც შტუტგარტში სძლია ამავე სასელოწოდების ადგილობრივ გუნდს — 4:1. მენჰენგლადბახის „ბორუსიამ“ მოუგო „კიოლნს“ — 3:0.

„ბაიერნი“	26	72:24	41
„შალკე 04“	26	54:21	40
„ბორუსია“	26	62:28	35

იტალია

ტურინის გუნდების — „იუვენტუსისა“ და „ტორინოს“ უაღრესად დაძაბული შეხვედრა ლიდერის — „იუვენტუსის“ დამარცხებით დამთავრდა — 1:2. „კალიარიმ“ სძლია „რომას“ — 1:0. მილანის „ინტერნაციონალემ“ ფრედ ითამაშა „ბოლონიასთან“ — 1:1.

საუკეთესო სნაიპერია რ. ბონინსენია („ინტერნაციონალე“) — 17 გოლი. 14 გოლით II ადგილზეა ლ. რივა („კალიარი“).

„იუვენტუსი“	23	38:21	32
„ტორინო“	23	29:21	31
„კალიარი“	23	27:16	30

ესპანეთი

მადრიდის „რეალის“ მოთამაშეებმა პირიმ, ანსარდამ და ველასკესმა 3 „მშრალი“ გოლი გაიტანეს ბარსელონის „ესპანიოლის“ კარში. „ბარსელონამ“ ფრედ ითამაშა „ვალენსიასთან“ (1:1), გრანადის „რეალმა“ კი ბილბაოს „ატლეტიკოს“ სძლია — 5:1.

„რეალი“ (მადრიდი)	27	41:18	41
„ვალენსია“	26	40:23	33
„ბარსელონა“	27	33:20	33

პოლონეთი

ზაბჟეს „გურნიკმა“ ბატომში მოუგო ადგილობრივ „პოლონიას“ (4:0), ხოჟუვის „რუხმა“ კი სძლია სოსნოვეცის „ზაგლემბიეს“ — 1:0.

„რუხი“	14	35:19	21
„გურნიკი“	14	23:12	20
„ზაგლემბიე“	14	18:12	19

ჩეხოსლოვაკია

„კოშიცემ“ ფრედ ითამაშა ოსტრავის „ბანიკთან“ (0:0), ხოლო „ტრინეცმა“ ქულა წაართვა შარშანდელ ჩემპიონს — ტრნავის „სპარტაკს“ — 0:0.

„სლოვანი“ (ბრატის.)	16	43:15	27
„კოშიცე“	17	25:14	25
„სპარტაკი“ (ტრნავა)	17	35:15	22

(საკ. ინფ).

ნოკსვილში ჩატარდა ბავშვთა შეჯიბრება კრივში „ალმოსავლეთ ტენესის ოქროს ხელთათმანის“ პრიზზე ორთაბრძოლები ბავშვებისთვის იმდენად მძიმე და დამჭაცველი იყო, რომ ნორჩებს ძალა აღარ შესწევდათ რინგიდან თავიანთი ფეხით წასულიყვნენ — ისინი მიჰქონდათ.

ჟურნალ „ბუნტე ილუსტრირტეს“ (გფრ) ფოტო.

საბჭოთა გუნდები — საზღვარგარეთის სტადიონებზე

კანი, 3 აპრილი. საფრანგეთის ამ ქალაქში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში სსრ კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებმა ანგარიშით 3:1 მოუგო სპლიტის „ჰაიდუკს“ (იუგოსლავია) და III ადგილზე გავიდა. 1 ადგილის ბედს გაარკვევს ბრაზილიისა და არგენტინის გუნდების შეხვედრა. საბჭოთა ფეხბურთელებმა იუგოსლავიის ნაკრების გარდა საფრანგეთისა და პორტუგალიის გუნდებიც ჩამოიტოვეს.

ბელინცონა (შვეიცარია), 3 აპრილი. მოსკოვის „ტორპედოს“ ახალგაზრდა ფეხბურთელთა გუნდი, რომელმაც დაამარცხა ესპანეთის „ბარსელონა“ (2:1), ფინალში იტალიის „ინტერნაციონალეს“ შეხვდება.

მუჰამედ ალი უკმაყოფილოა

ტოკიო, 2 აპრილი. გუშინ იაპონიის დედაქალაქის ყველაზე დიდ სპორტულ დარბაზში — „ბუდოკანში“ გაიმართა მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა მუჰამედ ალისა და მაკ ფოსტერის ორთაბრძოლა. მატჩისადმი ინტერესი ძალიან დიდი იყო: ტელერეპორტაჟს თვალს ადევნებდა მთელი იაპონია და 100 მილიონამდე უცხოელი, თვით „ბუდოკანში“ მოსვლია კი 15 ათასმა მეგლიერმა გულმემატკივრობა შეძლო.

დასაწყისშივე ცხადი გახდა, რომ ალი ვერ შეასრულებდა დანაპირებს და ბრძოლას ნოკაუტით ვერ დაამთავრებდა. იგი მეტოქეზე ძმიმე იყო 6,5 კილოგრამით, უფრო ნელა მოქმედებდა და ნაკლებად მოძრაობდა. ფოსტერმა მოიგო მხოლოდ მეშვიდე რაუნდი, მერვე კი ფრედ დაამთავრა. დანარჩენ ცამეტ რაუნდში უპირატესობა მსოფლიოს ექს-ჩემპიონის მხარეს იყო. ალის გამარჯვება მეათე რაუნდის შემდეგ ეჭვს აღარ იწვევდა. ფოსტერი მხოლოდ შემთხვევას ეძებდა ბედიშერი დარტყმისთვის, მაგრამ 15 რაუნდი ასე დამთავრდა, რომ ეს შემთხვევა არ მიეცა. მსჯელობა 8-9 ქულის უპირატესობით გამარჯვება ალის მიაკუთვნებს.

მატჩის შემდეგ მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ბოდიში მოუხადა გულშემატკივრებს იმისთვის, რომ იმედი გაუცრუა — დანაპირები ვერ შეასრულა.

შიონმა განაახლა ნაკრები

გფრ-ის ნაკრები ემზადება ინგლისელებთან მატჩისთვის ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში. ინგლისის სპორტული პრესა ხოტბას ასხამს გფრ-ის ეროვნულ გუნდს, დასავლეთგერმანელი მომხიბლაველები კი ბოლო თვეების მანძილზეც ეჭვს გამოთქვამენ შიონის გუნდის ბრძოლისუნარიანობის თაობაზე. გაზეთები წერენ „შიონს თავსატეხი „გაუნდაო“. ამ ეშვის გარკვეული საფუძველი აქვს. საქმე ისაა, რომ დასავლეთგერმანულ ფეხბურთში თაობათა ცვლა ხდება და ახლა იქ ბევრია ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომლებიც პასუხსაგები საერთაშორისო მატჩებისთვის მზად არ არიან. ნაკრების „ძველი გვარდია“ დაიჩსჩსა: გრაბოვსკი ავტოკატასტროფაში მოხვდა და ბეწვზე გადარჩა (იგი ჯერაც დაშავებულია), ფოჰტსმა (იგი 1971 წელს გფრ-ის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს) მენისკის ოპერაცია გაიკეთა, ნაკრებს გამოეთხოვნენ ზეელერი, ჰალერი, პაცკე, შულეი.

ბასულ კვირას ბუდაპეშტში გფრ-ის ჯუნახლებულმა ნაკრებმა დაამარცხა უნგრეთის ეროვნული გუნდი — 2:0. შიონის მიერ დაწაურებულმა ახალგაზრდა ფეხბურთელებმა ნეცერმა, ვიმერმა, ბრაიტნერმა, ფლოემ, ჰენესმა და ჰაინკესმა შესანიშნავად ითამაშეს.

(საკ. ინფ.).

რედაქტორი მ. ბაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ტპამბა. ლენინის ქ. № 14. უე 02596